საქართველოს
პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის
მოადგილე

N 3045/1-4 20/03/2018

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს

ასლი: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კოვზანაძეს

ბატონებო,

ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში რეგულარულად ვმართავ შეხვედრებს რაიონის მოსახლეობასთან, რომლებზეც მრავალ სხვა საკითხთან ერთად, გამოიკვეთა პენსიონერებთან და ინვალიდობით პენსიონერებთან დაკავშირებული პრობლემა.

პენსიის გამცემი ბანკი ზემოხსენებულ პირებს სთავაზობს სესხს, რათა მოსარგებლემ საჭიროების შემთხვევაში შეძლოს გარკვეული ოდენობის თანხის წინსწრებით მიღება, რაც დამატებითი ხელისშემწყობი ფაქტორი უნდა გახდეს მოსახლეობისთვის. პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ პენსიონერებსა და შშმ პირებს ერიცხებათ არაადექვატურად მაღალი სესხის საპროცენტო სარგებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება შეგრძნება, რომ სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული ბანკი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს პოლიტიკას პენსიონერებისათვის ყოფის შემსუბუქების თვალსაზრისით და მოქმედებს მხოლოდ მისი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს მოგვაწოდონ მოსაზრებები პენსიონერთა უკმაყოფილებაზე რეაგირების შესაძლებლობის შესახებ.

პატივისცემით,

გიორგი ვოლსკი